ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ა(ა)იპ „მწვანე ჯგუფს" შორის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი, თავმჯდომარე - ავთანდილ ბერიძის სახით და ა(ა)იპ „მწვანე ჯგუფის" წარმომადგენელი, თავმჯდომარე - თეიმურაზ ხასიას სახით, ხელმძღვანელობენ ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანია:

მხარეებს შორის თანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გარემოს დაცვის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში ჩართულობას და მათ მხარდაჭერას.

2. მემორანდუმის მიზანია:

2.1.რეგიონში ჯანსაღი პირობების გაუმჯობესება, ბრძოლა გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ
2.2. მწვანე გარემოს გასაუმჯობესებლად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა, განხორციელება და მათში ახალგაზრდობის ჩართულობისათვის ხელშეწყობა.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

ორგანიზაცია ა(ა)იპ „მწვანე ჯგუფი" კისრულობს ვალდებულებას:

3.1. დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატს.
3.2. დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა ტიპის აქტივობა, რაც ხელს შეუწყობს ამ მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო კისრულობს ვალდებულებას:

3.2.1. ხელი შეუწყოს ორგანიზაცია „მწვანე ჯგუფის" მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გაუმჯობესების მიმართულებით, რაც გულისხმობს საორგანიზაციო საკითხების ერთობლივად მოგვარებასა და ღონისძიებებში მონაწილეობას.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა:

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის გაუქმებას;

4.2. მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოსთავმჯდომარე
მის:მეგენეიშვილის ქ.25
დაბა ჩაქვი, საქართველო
ტელ: (0322) 28 54 33
ელ ფოსტა: contact@sca.ge

ა(ა)იპ „მწვანე ჯგუფის" თავმჯდომარე
მის: ა. სულაბერიძის ქ.30
ბათუმი, საქართველო
ტელ: (0322) 22 08 58

ელ ფოსტა: greengroup@gmail.com

ავთანდილ ბერიძე

თეიმურაზ ხასია

---

24 მარტი, 2014 წელი.